შაბათი, 1918 წ. მარიამობისთვის 17 № 162
ყოველდღიური გაზეთი

შაბათი 1918 წ. მარიამობისთვის 17 № 162
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

ხელნაწერი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ ითვლება. დაუბეჭდავი ხელნაწერი მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და უფრო მეტზე—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სამგლოვიარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 8 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარხანა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

უკანასკნელი ცნობები

მთავრობის დადგენილებით განკარგულება გაიცა საქართველოს რკინის გზათა მოსამსახურეების კომიტეტის დათხოვნის შესახებ.—სენაკში საერობო არჩევნებში სოციალისტურ ბლოკის წინააღმდეგ გაიმარჯვა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ.—ხმებია კავკავი ინგუშების და ყაზახების შეერთებულმა ჯარებმა აიღესო.—გენ. ფოში დასავლეთის ფრონტზე მომქმედ მოკავშირეთა ყველა ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა.—ინგლისის ჯარი მურმანის მიმართულებით წინ იწევს.—სტამბოლის კონფერენცია ათი დღის შემდეგ გაიხსნება.—საქართველოს წარმომადგენელმა გერმანიაში 50 მილიონის სესხი აიღო საქართველოსთვის.—თბილისში სამშვიდობო დელეგაციის წევრების ევ. გეგეჭკორთან და სპ. კედიასთან ერთად დაბრუნდა გერმანიიდან 200 ქართველი ტყვე აფიცრები და ჯარისკაცები.

„საქართველოს" კონტორისაგან

ქაღალდის გაძვირებამ და ასოთ-ამწყობთა ახალ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ „საქართველოს" გამომცემლობა აიძულა კიდევ მოუმატოს გაზეთს ფასი.

10 მარიამობისთვიდან გაზეთი საქართველო ეღირება:

სამი თვით 25 მანეთი
ერთი თვით 10 მანეთი

ცალკე ნომერი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ.
რკინის გზის სადგურებზე 60 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქ. პეტ.—60 კაპ. მეოთხე გვერდზე—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა—3 მანეთი.

კვირას, 18 აგვისტოს, პეტრე პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ

მარიამ (მარუსია) ივანეს ასული მიქაძის

და სამი წლის თავზედ თბილისის მეხუთე გიმნაზიის მოწაფის

დიმიტრი (მიტუშა) ივანეს ძე მიქაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ივანე როსტომის ძე და იგდითი მახარობელის ასული მიქაძენი და შვილები მათი ნიკოლოზ, თამარი, ნინო, გიორგი და ელენე. წირვა დაიწყება 11 საათზედ.
2—1744—1

გულდამწყვეტნი დედა ანასტასია დავითის ასული, მეუღლე მარიამ მიხეილის ასული, ძმა ივანე დავითის ძე შვილებითურთ და რძალი სოფიო არტემის ასული კიკნაძეები, დები ნატალია დავითის ასული კალატოზიშვილის, ელენე დავითის ასული ალამიძე და სიძე პავლე ანტონის ძე კალატოზიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით უდროოდ გარდაიცვალა 10 აგვისტოს ქ. დუშეთში, დუშეთის კომენდანტი

ნიკოლოზ (კოლია) დავითის ძე კიკნაძე

პანაშვიდი დანიშნულია ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში კვირას დილის 10 ს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
1—1

ნინო, ბეჟან, თამარ და არჩილ წერეთლები, ელენე ჩერქეზიშვილისა და ნიკო მაჩაბელი, ღრმა მწუხარებით ავსილნი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ორის ძვირფას შვილის, მესამე ძმის, მეოთხე ძმისწულის და უკანასკნელ ორის დეიდაშვილის

კორნეტის დათიკო წერეთლის

ტრაგიკულად გარდაცვალებას.

დაკრძალვა დაბა საჩხერეს, შაბათს, ამა აგვისტოს 17 ს.
1—1

ღრმად დამწუხრებული შვილი სოფიო ზაქარიას ასული, სიძე ილია ილარიონის ძე ციციშვილები შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 18 აგვისტოს (ახალ სტ.) ქ. გორში, სობოროში გადახდილ იქნება ვერაგულად მოკლულის

დარია მერაბის ასულის ციციშვილის

სულის მოსახსენებლად ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი. წირვის დასაწყისი 10 საათზედ.
1—1743—1

დამწუხრებულნი მშობლები: ანნა მიხეილის ასული და მიქელ ზაქარიას ძე უშვერიძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 18 მარიამობისთვეს, გარდაცვალების ერთი წლის თავზე, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი შვილის და დის

ნინო უშვერიძის

სულის მოსახსენებლად, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. პანაშვიდი დაიწყება თერთმეტ საათზედ.
1-1745-1

10 სექტემბერს დილის ათს საათზე შესდგება

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის

რწმუნებულთა ყრილობა

რომელშიაც მონაწილეობის მიღების თვითეულ შეკავშირებ კოოპერატივს უფლება აქვს გამოგზავნოს ორი წარმომადგენელი და კიდევ ერთი თუ საერთო წლიური ჯამი მისი კავშირის საშუალებით ნავაჭრისა აღემატება 25,000 მან., ორი წარმომადგენელი თუ იგი აღემატება 50,000 მ. საერთოდ რწმუნებულთა რიცხვი ერთის საზოგადოებისა 4 არ უნდა აღემატებოდეს (წესდ. მუხ. 29).

დღის წესრიგი:

1) გამგეობის მოხსენება საერთო მოქმედების შესახებ გასულ წელში. 2) კავშირის სამოქმედო გეგმა 1918 წ. 3) განხილვა და დამტკიცება 1917 წ. ანგარიშისა 4) განხილვა და დამტკიცება 1918 წ. ხარჯთაღრიცხვისა. 5) კავშირის რეორგანიზაცია. 6) კოოპერატიული ხელშეკრულობის გახსნა. 7) დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრებისა. 8) დამატებითი არჩევნები სარევიზიო კომისიისა. 6) დამატებითი არჩევნები მეთვალყურე საბჭოს წევრებისა.

კრება თანახმად წესდების 33 მუხლისა კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად რწმუნებულთა დასწრების რიცხვისა. კრება შესდგება ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის შენობაში, მიხეილის ქუჩა № 178.

1—1 ამიერ-კავკ. კოოპ. კავშირის გამგეობა.

თბილ. ქარ. მაჭარ-მრეწველთა კრება,

რომელიც 18 აგვისტოსთვის იყო დანიშნული,

გადადებულია სხვა დროისათვის.

დღე და ადგილი კრებისა ცალკე იქნება გამოცხადებული.
1—1747—1

დეკლარაცია სომხეთის მთავრობისა

8 აგვისტოს სომხეთის ეროვნულ საბჭოს სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ რ. კაჩაზნუნმა მთავრობის დეკლარაცია წაიკითხა. დეკლარაციის შესავალში აღნიშნულია პირობები, რომელთაც აიძულეს სომხეთის ერი გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა და შეედგინა საკუთარი მთავრობა.

ოთხი წლის ომი, რევოლუცია, რუსეთის ჯარისკაცების წასვლა ფრონტიდან და იმპერიის დაშლა, ამიერ-კავკასიის დაშლა—შემდეგ ანარქია და აქედან გამოწვეული დაშლა მეურნეობისა და ფინანსებისა, რომაც ქვეყანა მიიყვანა კატასტროფამდე. მთავრობა ჰფიქრობს, რომ შეაჩეროს ეს პროცესი დარღვევისა და ამაში ჰხედავს ის თავის მოწოდებას. შემდეგ ჩამოთვლილია ის ზომები, რომელნიც საჭიროა, რომ მთავრობამ მიიღოს შინაურ პოლიტიკაში, ფინანსებში, სამხედრო, იუსტიციისა და გარეშე საქმეთა სფეროებში. ეს ზომები საერთოა: შინაურ პოლიტიკაში ელემენტარული უფლებრივის აღდგენა და მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი დაცვის უზრუნველყოფა, გზების გახსნა, ფოსტა-ტელეგრაფის ამუშავება, სასურსათო კრიზისის შეწყვეტა, გადმოხვეწილების მოწყობა და დამფუძნებელი კრების მოწვევა. ფინანსების სფეროში: ფულის ნიშნების უზრუნველყოფა, საქონლის გაცვლა-გამოცვლა და სამართლიანი ბეგარის სისტემა, სამხედრო სფეროში შექმნა პატარა, მაგრამ დისციპლინიანი არმიისა. გარეშე საქმის მხრივ ოსმალეთთან ზავის და კეთილმეზობლური განწყობილება, კერძოდ გაყვანა ოსმალეთის ჯარის სომხეთის ტერიტორიიდან და ლტოლვილების დაბრუნების საკითხის მოწყობა, საქართველოს და აზერბეიჯანის სახელმწიფოებთან საზღვრების გამიჯვნა, რომელსაც უნდა დაედვას საფუძვლად ეტნიური პრინციპი, როგორც ერთად-ერთი დემოკრატიული სახელმძღვანელო, და აგრეთვე ლიკვიდაცია საერთო ამიერ-კავკასიის დარჩენილ სახელმწიფო ქონებისა...

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით სომხეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრების ამუშავებას. ყოველი საკეთილო ამ მხრივ ჩვენში დაინახავს თანაგრძნობას, რადგან ადგილს აღმოუჩენს ჩვენ ლტოლვილს, რომელნიც საკუთარ სახელმწიფოს უქონლობამ ჩვენ გაგვიხადა საზრუნავად. არც ერთი ქართველი არ გაიმეორებს სამაგიეროს სომხეთისადმი და არ დაუწყებს მას დამოუკიდებლობის ბრძოლას, როგორც ამას სამწუხაროდ ადგილი აქვს ჩვენში სომხების მხრივ, ჩვენ საკუთარ მოწყობაზედ მიმხრე ვუყურებთ სომხეთის თვით გამორკვევისა. დეკლარაციაში ნათქვამია აგრეთვე საზღვრების გამიჯვნაზე ეტნიურ პრინციპზე, როგორც ერთად-ერთ დემოკრატიულზე, მაგრამ ეს უკვე პოლიტიკური ანაქრონიზმია, არა მარტო ჩვენი პარტიისთვის, არამედ მთ ერებისთვისაც. დრო ყველაფერს დააყენებს და ეს საკითხიც თავისთავად მოგვარდება, მანამდის ჩვენი სურვილია რომ სომხეთის ახალმა მთავრობამ შეასრულოს თავის დეკლარაციის დაპირებანი საკუთარ ერის საკეთილდღეოთ...

მოხელეობისა და საბჭოს წევრობის შეუთავსებლობა

შეიძლება თუ არა, რომ სახელმწიფო მოხელე იყოს წევრი საკანონმდებლო დაწესებულებისა? თითქმის ყველა ევროპიულ კონსტიტუციურ ქვეყნებში ეს საკითხი ერთნაირად არის გადაწყვეტილი: არ შეიძლება ერთი და იგივე პირი დეპუტატიც იყოს და ამასთან ერთად რომელიმე უწყებაში მოხელის ფუნქციასაც ასრულებდეს. ამისდა მიხედვით მოხელის პასიური საარჩევნო უფლება განსაზღვრულია ევროპიულ ქვეყნებში: მათ უფლება აქვთ აირჩიონ, მაგრამ უფლება არა აქვთ არჩეულ იქმნან.

მართლაც, პარლამენტი მარტოოდენ პოლიტიკური ტრიბუნა როდია. პარლამენტი უზენაესი საკონტროლო და საკანონმდებლო დაწესებულება არის. სადაც პარლამენტარული წესწყობილებაა განხორციელებული მთავრობა პასუხისმგებელია არა მარტო იურიდიულად, არამედ პოლიტიკურადაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი მინისტრი პასუხს აგებს როგორც თავისი მოქმედების კანონიერებისა, ისე თავისი მოქმედების მიზანშეწონილობისათვის. პარლამენტი უნდობლობას უცხადებს ისეთს მინისტრს, რომელიც მიზანშეუწონლად მოქმედობს სახელმწიფოებრივი თვალთსაზრისით. პარლამენტი სამართალში აძლევს ისეთს მინისტრს, რომელიც რაიმე დანაშაულს სჩადის.

ცხადია, რომ პარლამენტი ჯეროვნად ვერ შეასრულებს ამ უმაღლეს საკონტროლო ფუნქციებს, თუ მისი წევრები მთავრობაზე იქნებიან დამოკიდებულნი ჯამაგირისა და ცხოვრების კარიერის მხრივ-ნდობისა და უნდობლობის გამოხატვებაში. მინისტრის ხელქვეითი ისე თავისუფლად ვერ იმოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი.

26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საკანონმდებლო დაწესებულების ფუნქციები იკისრა, მაგრამ მისი შემადგენლობა არ შეეფერება ნამდვილ პარლამენტს. ეროვნულ საბჭოს მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფო მოხელეები შეადგენენ. ეს უკუღმართი მოვლენაა არა მარტო სახელმწიფო უფლების თვალსაზრისით, არამედ ფინანსიურადაც: არ შეიძლება, რომ ერთსა და იმავე პირს სახელმწიფო ხაზინიდან ორი და სამი ჯამაგირი ეძლეოდეს.

თვით ეროვნულმა საბჭომ ყურადღება მიაქცია ამ არანორმალურ მდგომარეობას და საკონსტიტუციო კომისიას შესაფერი კანონპროექტის შედგენა მიანდო. საკონსტიტუციო კომისიამ სამართლიანად აღიარა, რომ საზოგადოთ პასიური საარჩევნო უფლების განსაზღვრა არ შეადგენს მის კომპეტენციას: ეს კონსტიტუციის საქმეა, რომელიც მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ უნდა შეიმუშაოს. მაგრამ ახლა თანდათან იქმნება ტრადიციები და პრეცედენტურა, რომელსაც შემდეგ უნდა დაეყრდნოს საქართველოს რესპუბლიკის ორგანიული კანონები. არსებული ეროვნული საბჭოს შემადგენლობის ფიქსაცია ერთი ასეთი საკონსტიტუციო პრეცედენტი იქმნება. თუ საბჭომ საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი მიიღო, მოხელეები იძულებული იქნებიან ორი კვირის განმავლობაში ან პარლამენტი დასტოვონ, ან უარი სთქვან სახელმწიფო სამსახურზე. მაშინ ეროვნულ საბჭოს, რომელიც პარლამენტის ფუნქციებს ასრულებს, პარლამენტის სახეც მიეცემა.

ვ. დოლიძე.

მთავრობის წრეებში

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ნოე რამიშვილს ბერლინიდან საქართველოს საზავო დელეგაცია დეპეშით ატყობინებს, რომ სტამბოლის კონფერენცია 10 დღის შემდეგ დაიწყება.

—

საქართველოს დელეგაციამ შესძლო 50 მილიონი მანეთის სესხის მოწყობა.

—

მიწადმოქმედების მინისტრმა მთავრობას მოხსენება წარუდგინა ცენტრალ სახელმწიფოთა სტატისტიკურ ბიუროს დაარსების შესახებ და ბიუროს მოქმედების პროექტი.

—

ფინანსთა მინისტრმა მთავრობას მოხსენება წარუდგინა თბილისში სპირტის რეკვიზიციის მოხდენის შესახებ.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **სომხეთის ჯარის დემობილიზაცია.** სომხეთის კორპუსის უფროსის ბრძანებით გამოცხადდა სომხეთის ჯარის სრული დემობილიზაცია, რის შემდეგაც გამოცხადდება ახალი მობილიზაცია მხოლოდ ერთი დივიზიის შესადგენად, თანახმად სომხეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულობისა.

◆ **ექსპროპრიაცია ს. კოდაგში.** სოფ. კოდაგიდან (სიღნაღის მაზრა) თბილისის ცენტრალურ კომიტეტის სასოფლო კომისიას ატყობინებენ, რომ რაიონის კომისარმა ოგანესოვმა ექსპროპრიაცია ჩაუყენა ხსენებულ სოფელს და გლეხებს მთავრობის სახელით 2,000 მანეთი გადაახდევინა თავისთვის და მილიციონერებისათვის 400 მანეთის სადილი გაამართვინა და სხვ. გლეხები შველას თხოულობენ.

◆ **გერმანელთა საელჩო გუმბაზში.** გუმბაზში ქალთა გიმნაზიის შენობაში მოთავსდა გერმანელთა სამხედრო საელჩო. გერმანიის მისიის ჩამოსვლას ხალხი სიხარულით შეხვდა. კმაყოფილია საელჩოს ჩამოსვლით.

◆ გუშინ გერმანეთის სამხედრო დელეგაციის საინფორმაციო განყოფილების გამგე პროფ. ცუგმაიერი და დელეგაციის რამდენიმე წევრი კავკასს გაემგზავრნენ ყაზახში მთავრობასთან შესათანხმებლად.

◆ **ბრძანება.** მილიციის უფროსის ბრძანებით, თანახმად ქალაქის გამგეობის სანიტარიო განყოფილების დადგენილებისა აიკრძალა საკონდიტროში და კაფეებში თეთრი ფქვილის ნამცხვრების, შოკოლადის და სხვადასხვა ტკბილეულობის და ნაყინის მომზადება და გაყიდვა. ბრძანების აუსრულებლობისათვის დამნაშავენი მე 29 მუხლის ძალით დაისჯებიან.

◆ **ტყვე ბოლშევიკების ჩამოყვანა.** მთავარ შტაბში ყოველ დღე ჩამოჰყავთ ყაზახიდან ტყვე ბოლშევიკები, რომელთაც დაკითხვის შემდეგ ციხეში ატუსაღებენ.

◆ **არეულობა გარე-კახეთში.** ბადიაურიდან სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი გოგიაშვილი დეპეშით იტყობინება: ჩვენს განკარგულებაში სულ 2000 შეიარაღებული კაცია. დამხმარე ჯარის გამოგზავნა საჭირო არ არის. გადაწყვეტით თუ არა შეტევაზე მაჰმადიანები გაიფანტნენ. ჯავშნოსანი მატარებლის უფროსის გოგუაძის წყალობით მაჰმადიანთა სოფლებთან უთანხმოება არ არის. ჩვენი ულტიმატუმი მათმა დელეგაციამ სავსებით მიიღო. ულტიმატუმის თანახმად 15-ში იარაღს წარმოადგენენ. იმედია, რომ საქმე სისხლის დაუღვრელად გათავდება.

◆ **ექიმების მორიგეობა ღამ-ღამობით.** სანამ საკითხი სადგომის შესახებ (სასახლის ქუჩაზე), სადაც მოთავსებული იყო გაზეთ „ნაროდნაია სვობოდა“-ს რედაქცია გადაწყდებოდეს, ექიმების ღამ-ღამობით მორიგეობა იქნება გრიბოედოვის ქ. ს. № 13 კანცელარიის პ. დ. 3 რ. ტელეფონი № 13—09.

◆ **ნოე რამიშვილი ანახლებს** რუსთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებმა გუშინ მოინახულეს, მოისმინა და ლაპარაკობდა უკანასკნელ დროის ბ ეროვნულ საბჭოს წევრთა დაპატიმრების შესახებ.

◆ **თავდასხმა და ძარცვა.** 14 აგვისტოს, ღამის 7 ს.; ს. ალექსანდროვიჩის ბინაზე, ახალციხის შესახვევში № 15, შევიდა 3 შეიარაღებული კაცი სისხლის სამართლის მილიციელების სახელით, წაიღეს 40,000 მანეთის ძვირფასი ნივთები. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

◆ **თვითმკვლელობა.** 14 აგვისტოს დღის 10 ს., გოგოლის ქუჩაზე № 14, თავი ჩამოიხრჩო მაქს რაზენშტეინმა.

◆ **სწავლის დაწყება ახალ-სენაკის გიმნაზიაში.** ახალ-სენაკის ვაჟთა გიმნაზიაში მისაღები გამოცდები დაიწყება 2 ენკენისთვიდან ახალი სტილით. თხოვნები მიიღება 30 აგვისტომდე.

◆ **რუს ლტოლვილთა გაგზავნის შეწყვეტა.** რუსთა ეროვნულ საბჭომ დროებით შეწყვიტა ლტოლვილთა ფურგუნების გაგზავნა საქართველოს სამხედრო გზით.

◆ **ბინები რუს ლტოლვილთათვის.** რუსთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელმა ნ. უზერსკიმ ფოთში, სოხუმში, სოჩში და ტუაპსეში ბინები დაიქირავა ლტოლვილთათვის.

◆ **უკრაინის სტუდენტთა საყურადღებოთ.** უკრაინაში მოსწავლე სტუდენტებს ქალებს და კაცებს სთხოვენ მობრძანდნენ შაბათს 17 მარიამ. 7 საათ. ძველი სემინარიის შენობაში ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1 ერთად საყურადღებო საქმისათვის. ამხანაგებს ვთხოვთ არ დაიგვიანონ.

◆ გაზეთებში დაბეჭდილი იყო ცნობა სახელმწიფო ბანკის ლიკვიდაციის შესახებ. ფინანსთა სამინისტროსაგან მიღებულ ცნობების თანახმად ეს სიმართლეს არ შეეფერება. ამ ჟამად ხდება მხოლოდ ნაწილობრივი ლიკვიდაცია ბათუმის განყოფილების. რაიც შეეხება სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორას აქ ჯერ არავითარი ცვლილება არ მოხდება და საქართველოს ეროვნულ ბანკის დაარსებამდე, მის ლიკვიდაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

◆ **სათბობი მასალის თათბირის** გამოანგარიშებით კახეთის რკინის გზას თვეში დაჰირდება 90,000 ფუთი ქვანახშირი, სახაზინო გზებს კი—1 მილიონი ფუთი. თათბირმა დაადგინა, რადგანაც კახეთის რკინის გზაზე მოძრაობის შემცირება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მისი საჭიროება სავსებით იქნეს დაკმაყოფილებული, სახაზინო გზებს კი შეძლების და გვარად დაეთმოს ქვანახშირი. ხაკა ქვანახშირი ჯერ მიეცემა რკინის გზებს, შემდეგ ქალაქის თვითმართველობებს და შემდეგ კი მცხოვრებლებს.

◆ **რკინის გზათა მოსამსახურეების დელეგაცია.** სამშაბათს 18 აგვისტოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჩხეიძეს და გზათა მინისტრს ივ. ლორთქიფანიძეს წარუდგა რკინის გზის მოსამსახურეთა დელეგაცია, რკინის გზის მოსამსახურეთა შტატის შემცირების გამო გამოწვეულ უკანონობებზე მოსალაპარაკებლად. დელეგაციამ მოითხოვა გზათა მინისტრს გაუქმება ცენტრალური და ადგილობრივ კომიტეტებისა და შეჩერება ხელახალ განხილვამდის შტატის შემცირება.

◆ **ტყიბულის ქვანახშირი.** გერმანიის სამხედრო საელჩოს სამრეწველო განყოფილების წევრს ინჟინერ-გეოლოგის დოქტორ ჰეიჭეს სთხოვა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა გამოიკვლიოს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების ყველა ნაწილი, რათა გამოარკვიოს, თუ რამდენად შესაძლებელია ხელსაყრელ მაღაროების უფრო ღრმად დამუშავება, რადგანაც ზოგიერთა აზრით ამ მაღაროების ღრმა სიღრმეზე დიდი ძალი ქვანახშირია, რომელიც თავის თვისებებით დონეცის და ინგლისის ქვანახშირს არ ჩამოუვარდება.

პარტიული ცხოვრება

◆ დღეს, საღამოს 7 საათზე (ახალ დროით) დანიშნულია თბილისის კომიტეტის წევრთა კრება. განსახილველია სახელმწიფო საკითხები. დასწრება ყველა წევრისა სავალდებულოა. შეკრებები არავის დაეგზავნება.

◆ დღეს, დილის 12 საათზე შეკრება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის და ერ. საბჭოს ფრაქციის შეერთებული სხდომა. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ქართველ ტყვეების ჩამოსვლა გერმანიიდან

ქართველი ტყვეები, რომელნიც თავმოყრილნი იყვნენ ზოგენის ბანაკში რიცხვით 200 კაცი (მათგან 58 ოფიცერია) გუშინ დილით შუადღის 1 საათზე ჩამოვიდნენ თბილისში. ტყვეები მიიღეს სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა მათ და აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ჟამად ჩვენი სამშობლოსათვის მათს დაბრუნებას მეტადრე ეხლა, როდესაც მთავრობამ გადასწყვიტა მტკიცე რეგულიარულ ჯარის შედგენა, რის განხორციელებას ტყვე ოფიცრებს შეუძლიათ დიდი სამსახური გაუწიონ თავის ცოდნით, გამოცდილებით და მამულიშვილური სიყვარულის გრძნობით.

დაბრუნებული ტყვე ოფიცრობა სამხედრო მინისტრს წარუდგინა მათთან ერთად დაბრუნებულმა უფროსმა ოფიცერმა გენერალმა თოფურიამ.

ჩამოსულ ტყვეთა მისაგებებლად მოვიდა აგრეთვე გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენელი ფონ-კრესსი.

ტყვეებთან ერთად იმავე მატარებლით დაბრუნდნენ თბილისში ბერლინიდან სამშვიდობო დელეგაციის წევრნი ევ. გეგეჭკორი და სპ. კედია.

უცხოეთის ამბები

ხელსინგფორსი. ფინური ბურჟუაზიული გაზეთები საავსეა წერილებით, რომლებიც მოითხოვენ რევოლიუციაში მონაწილე სოციალისტების მიმართ ყოველნაირ მკაცრი ზომების მიღებას და სიკვდილით დასჯასაც კი.

80,000 დაპატიმრებული. სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, რომ ფინლიანდიაში დაპატიმრებულია 80,000 კაცი, რომელთაც ბრალს სდებენ რევოლიუციაში მონაწილეობას.

კავკავი. მოსული ცნობებით, კავკავი ინგუშების დახმარებით ყაზახთა რაზმებმა აიღეს. ბოლშევიკებმა კავკავიდან 12 ვერსზე დაიხიეს უკან და იქიდან ესვრიან ქალაქს ზარბაზნებს.

ნიკოლოზ მეორის მკვლელობა. ბოლშევიკური გაზეთების ცნობებით, ნიკოლოზ მეორის სიკვდილით დასჯის განაჩენზე ხელი მოაწერა ურალის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ლისვენსკის ქარხნის ზეინკალმა ბელობოროდოვმა.

ნიკოლოზის დასჯის შემდეგ. პოლონური გაზეთის ცნობით ყოფილი იმპერატორის სიკვდილის განაჩენი მოყვანილი იქნა სისრულეში ღამე იმ დროს, როცა მთელ ქალაქს ეძინა. მკვლელობაზე დილითვე გავრცელდა ხმა ქალაქში და მის მიდამოებში. ეკატერინბურგში შეცვივდნენ გლეხები და ყვიროდნენ: „მოგვეცით ჩვენი მეფე!“ სამხედრო კომისიის ბრძანებით მათ სროლით უპასუხეს. გაშმაგებული ბრბო ეცა კომისარს, იყარა მასზედ ჯავრი და შემდეგ დაუწყო ხოცვა წითელ ლაშქრელებს. წითელ ლაშქრელები გაიქცნენ.

მენშევიკების და ს.-რების ყრილობის შეპყრობა. მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ დაპატიმრებულია მენშევიკების და სოც.-რევ. ყრილობა, რომელიც გაიმართა კოოპერატორების დროშის სახელით და რომელსაც მიზნად ჰქონდა ბოლშევიკების მთავრობის ჩამოგდება. დაპატიმრებულია 45 წევრი, მათ შორის მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის წევრი აბრამოვიჩი.

ომი

დასავლეთის ფრონტზე.

გერმანიის ცნობა.

ბერლინი. 15 აგვისტო. კრონპრინცის რუპრეხტის ლაშქარი. ანკრა და სკარპას შუა გაცხოველებული მოქმედება მზვერავი რაზმებისა. ეიტრს სამხრეთ აღმოსავლეთით ინგლისელებმა იერიში მოიტანეს და დაიჭირდნენ. ანკრის ჩრდილოეთით ჩვენ გავწმინდეთ კუნძული, რომელიც შეპყრობილი იყო მოწინააღმდეგის მაზის რაიონში. გუშინ მოწინააღმდეგემ აიღო ჩვენი თხრილები პუისიე და ბომკანდ-გაბელასთან.

გერმანიის კრონპრინცის არმია. რიზის შემდეგ ვესლის სამხრეთ ნაპირთან ტყვედ წავიყვანეთ ბრძოლის ჯაჭვის კომანდა. გუშინ ჩამოვაგდეთ მოწინააღმდეგის 24 ჰაეროპლანი და 1 მისაბმელი ბურთი.

პარიზი. 15 აგვისტო. წინა დღეებში დაწყებული სამხედრო ოპერაციები მატცის და უაზის მიდამოებში გამარჯვებით დათავდა. ფრანგების ჯარებმა რიბეკურის ჩრდილო-დასავლეთით მიიღეს ფერმა (?) და წამოიყვანეს რამდენიმე ტყვე. დანარჩენ ადგილებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

ალექსეევის მოხალისე ლაშქარი

ამ ბოლო დღეებში დიდი სისწრაფით იწყო ზრდა ალექსეევის მოხალისეთა ლაშქარმა, რომლის რიცხვი სარწმუნო ცნობებით უკვე 60,000 კაცამდე ავიდა. ყოველ დღე ლაშქარში ეწერება დაახლოვებით 300 მოხალისე ოფიცერი. ამავე დროს ამ ლაშქარში ეწერება ბევრი ყაზახობა. ალექსეევი ძალიან სასტიკად ეპყრობა ბოლშევიკების რაზმების ტყვეებს, დახვრეტინებს ყველა წითელ-ლაშქრელებს და ყველა მათ, ვინც მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკების რაზმებში. მაგრამ ბოლშევიკებისგან ძალით წაყვანილ გლეხებს და ყაზახების ტყვეებს ალექსეევი სიამოვნებით იღებს თავის რაზმში. მაგალითად ტორგოვოის რაიონში შაბლიევსკასთან ბრძოლის შემდეგ ალექსეევის ლაშქარმა ტყვედ ჩამოიყვანა 4,000 კაცი, ამათგან 1,500 კაცი დახვრიტა და დანარჩენები 2,000 კაცი თავის რაზმში მიიღო.

სარდლობამ მხედველობაში მიიღო, რომ აუცილებელი მოხალისე ეწერება ჯარში და ზოგჯერ შეუდგა ზომების მისაღებად, რომ ჯარის რიცხვის ასეთმა ზრდამ ჯარის ღირსება არ დააქვეითოს, რომელიც აქამდის ისე მაღლა იდგა, რომ შედარებით ბრძოლაში და ბრწყინვალედ იმარჯვებდა თავისზედ ბევრით მრავალ რიცხოვან მტერზე. ყველა როტებში დანიშნულია ოფიცრის ერთი ეზოდი. ამ ჟამად ამ ლაშქარს საკმარისი არტილერია აქვს ყველა ზომისა, ბლინდად ყუმბარები და სამი ჯავშნიანი მატარებელი. იმ რკინის გზებზე, რომლებიც ამ ლაშქარმა ჩაიგდო ხელში აღდგენილია და იცავს რკინის გზის ჟანდარმერია და განსაკუთრებული რაზმები. საერთოდ ამხანად ალექსეევმა ძალიან გააფართოვა თავისი ოპერაციები, ზრუნავს ჯარის გადიდებაზე, სურსათზე და ჯარის სხვა საჭიროებებზე და ემზადება ახალი ოპერაციებისთვის.

ბაქოს მდგომარეობა

ბაქოში ბოლშევიკებმა იარაღი დაჰყარეს. შედგა ახალი მთავრობა, რომელმაც გამოაქვეყნა შემდეგი მოწოდება:

„ამხანაგებო და მოქალაქენო! უმძიმეს მომენტში, როდესაც რუსეთის რევოლიუციის მტერი მოადგა ბაქოს ბჭეებს, ქ. ბაქოს საბჭოს სახალხო კომისრები თანამდებობიდან გადადგნენ. ვიწრო პარტიული პოლიტიკით გატაცებულმა მთავრობამ ვერ შესძლო იმ ხანში, რამდენი ხანიც მან იარსება, შექმნა საგარეო თუ საშინაო ფრონტზე ისეთი მორალური და მატერიალური პირობები, რომლებიც მისცემდნენ ბაქოს პროლეტარიატს და წითელ არმიას შეძლებას უზრუნველეყოთ ბაქო საფრთხისაგან და შეენარჩუნებინათ ქალაქი რევოლიუციონურ რუსეთისათვის.

ბაქოს პროლეტარიატმა, სახალხოებმა არმიამ და ფლოტმა 25 ივლისს საბჭოს არაჩვეულებრივ გაფართოებულ კრებაზე თავის ხმებით უარჰყო კომისართა პოლიტიკა, უნდობლობა გამოუცხადა მათ.

ამ კრიტიკულ მომენტში სამი პარტია: სოციალისტ-რევოლიუციონერები, სოციალ-დემოკრატი მენშევიკები და დაშნაკცუტიუნი დარჩნენ თავის სარევოლიუციო პოზიციებზე და გადასწყვიტეს დაიცვან ქალაქი ოსმალთა ურდოებისაგან უკანასკნელ შესაძლებლობამდე.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს კომისართა გადადგომისთანავე წითელი არმიის სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტში, მცირე გამონაკლისით, ბევრი საპასუხისმგებლო პოსტები დატოვებულ იქმნა. ამ საშინელი პირობებში უმთავრობობამ ქალაქში გამოიწვია დიდი პანიკა. მხოლოდ სახელდახან კასპიის ფლოტს არ დაუკარგავს ქუდი და გონება. მან გამოაცხადა ქალაქში თავისი თავი მთავრობად, და რადგან რა მთელი ძალა-უფლება ხელში, შეუდგა მტკიცე თავდაცვას.

პროლეტარიატის უმაღლესმა ორგანომ, აღმასრულებელმა კომიტეტმა, გაერთიანებულმა საბჭოში მუშა პარტიათა წარმომადგენლებით, თავის მოვალეობათ ჩასთვალა განაგრძოს მუშაობა. მხოლოდ საბჭოა უფლება-მოსილი პასუხი აგებს ქალაქის პროლეტარიატის და მთელი რევ. რუსეთის წინაშე.

გრძნობს რა თავის პასუხისმგებლობის სიმძიმეს, ცენ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, მუშებს და არმიელებს, მხარი დაუჭირონ საბჭოს და გაამაგრონ მისი უფლების ავტორიტეტი.

უპირველეს თავის მიზნათ პრეზიდიუმი სთვლის ყოველმხრივ გაამაგროს ფრონტი. ამის შესრულებას ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებისავე დახმარებით.

მეორე მიზნად, არა ნაკლებ საყურადღებოს, პრეზიდიუმი ისახავს სასურსათო საკითხის სწრაფად მოგვარებას, რის შესახებაც უკვე მიღებულია საჭირო ზომები.

ოსმალების მოახლოვების და სახალხო კომისართა გადადგომის დროს ფინანსიური აპარატი ქალაქის დაწესებულებებში მეტად აწეწილ დაწეწილი იყო. პრეზიდიუმს მძიმე ტვირთად აწევება მოაგვაროს ეს საქმე: განაახლოს ცხოვრება საბჭოს და ქალაქის დაწესებულებებში და უმთავრესად გამოიკვლიოს რაოდენობა იმ თანხისა, რომელიც საბჭოს ხაზინაში კომისრების წასვლის შემდეგ დარჩა. ბაქოს პროლეტარიატი და მცხოვრებლები მიხვდებიან, თუ რა მძიმე მომენტში ავიღეთ ჩვენ უმაღლესი ძალაუფლება ხელში.

ჩვენ ეჭვიც არ შეგვაქვს, რომ ბაქოს პროლეტარიატში, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებში ვპოვებთ დახმარებას და თანაგრძნობას, როგორც გარეშე მტრებთან ბრძოლაში, ისე მშრომელთა ცხოვრების სოციალური პირობათა მოწესრიგებაში. ცენ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმი, შეერთებული სამხედრო ფლოტილიის—ცენტრო-კასპიის— დიქტატურასთან არის ქალაქში უმაღლესი მთავრობა.

სხვა მთავრობა არ არსებობს და მხოლოდ ამას ემორჩილება ყველა დაწესებულებანი.

მოუწოდებთ ყველა დაწესებულებებს დადგნენ თავის პოსტებზე და განაგრძონ თავის მოვალეობის ასრულება.

მოუწოდებთ მოქალაქეებს შეადგინონ ჩქარა რაზმები, შეებრძოლონ კარზემომდგარ მტერს და გადაარჩინონ ბაქო რევ. რუსეთს.

ყველამ, მოქალაქენო და ამხანაგებო გასწიეთ მუშაობისაკენ! ყველამ—ფრონტებისაკენ! ყველაფერი ფრონტისათვის! ამაშია ცხადა რევოლუციის ხსნა.

ცენ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმი: თავმჯდომარე ალ. არაქელიანცი. წევრები: ბარ. ველუნცი, ლ. უმანსკი, მელიქ იოლჩიანცი და სხვები.

ანარქიის წყაროები

მკითხველმა შესაძლებელია ასეთ სათაურის წაკითხვაზე თვალი ლეჩხუმს ან საჩხერეს მიაპყროს. მაგრამ იგი ამ ჟამად ჩვენი რკინის გზათა სადგურებზე და მთავარი წყალსადენი ჩვენს დედაქალაქში არის. მათი სახელი „რკინის გზათა ცენტრალური და ფილიალური განყოფილებათა კომიტეტები“. დაიბადნენ ისინი ჯერ კიდევ იმ გარდაცვალებულ რუსეთის პროვინციად ამიერ-კავკასიის ოლქში, განაგრძობენ მოღვაწეობას ყოფილ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში და არ შეჩერებულა მათი მოქმედება არც საქართველოს რესპუბლიკაში. დღემდის როგორც უწოდებენ „ამ რევოლუციის ხსნისათვის“ მოღვაწეობაზე სამწუხაროდ ძლიერ ცოტას ლაპარაკობენ, და ამიტომ ბევრმა შესაძლებელია არც კი იცის თუ არსებობს ასეთი რამ ჩვენს ყველასაგან აბუჩად აგდებულ საქართველოში. ვიმეორებ დღემდის არა სჩანდა მოღვაწეობა მათი საქართველოში. ნებით თუ უნებლიეთ იმალებოდა ყოველივე მათი სამდივნო საქმეები, მაგრამ გაგვიგონებია „კაცმა ქორი მალა, ქორმა თავი არ დამალა“-ო. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიაც. რკინის გზის ცენტრალური და ადგილობრივი კომიტეტები დღემდის ნიღაბ აფარებულნი დადიოდნენ და აკეთებდნენ რაც უნდოდათ და რაც ესიამოვნებოდათ მხოლოდ მის შემდგენელ ელემენტებს, მაგრამ როცა დააპირეს მათ ისეთი ოპერაციის მოხდენა, როგორიც არის რკინის გზათა მოსამსახურეების შტატის შემცირება, აქ კი თუმცა ბევრი ეცადნენ, მაგრამ ვეღარ დაფარეს მათი არა კეთილ-სინდისობის მოწმობა და ყველას სახეს ნიღაბი აეხადა.

მკითხველი წაიკითხავდა ჩვენს გუშინდელ გაზეთში, რომ ჩვენს ფრაქციას შეკითხვა შეაქვს ეროვნულ საბჭოში საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზათა მოსამსახურეების შტატის შემცირებაზედ. ამ შეკითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს, და ვფიქრობ ისინი, ვინც გვეცადნენ ამ შტატის შემცირების საქმეს,—უპირველესად დატოვებენ და რადიკალურ ზომებს არ მიიღებენ უმაღლეს ორგანოსაგან, ნიშნავს მოსალოდნელ კატასტროფის ხელის შეწყობას. საქმე იმაშია, რომ ვიზვეულ უსამართლობების წინაშე ვდგევართ.

უკანონობა არის მომხდარი. დღეს საქართველოში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში სხვა და სხვა სამინისტროები და მისი ხელქვეითი სამართველოებია. არის რკინის გზათა სამინისტროც, მაგრამ მის ფუნქციებს ასრულებს სხვა ორგანო. მერე ვინ ჩამოხადა ეს უფლება? ეს არის რკინის გზის ცენტრალური კომიტეტი და მისი ფილიალური განყოფილებები (თუმცა ბევრად ამათაც არ ესმით ერთი მეორესი).

ამ უკანასკნელთა სახით ჩვენ ერთი ხელ კიდევ დავინახეთ საქართველოს ორ-მთავრობიანობა, რომელმაც დაღუპა რუსეთი. რკინის გზის სამინისტრო და ცენტრალური კომიტეტი. რომელია ამათში უმაღლესი და უფლება მოსილი ორგანო? ცხადია უნდა იყოს პირველი, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ მას იმოდენა უფლება აქვს ამ დარგში, რამოდენიც მე და შენ მკითხველო.

თურმე ჩვენს რკინის გზას მართავენ და მომავალშიც აპირებს მართოს ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობა არამც თუ ჩვენთვის და რკინის გზის მოსამსახურეთათვის არის დაფარული, არამედ, მგონი თვით გზათა მინისტრისთვისაც კი.

ეტყობა იგივე ლორთქიფანიძე კი არ ყოფილა გზათა მინისტრი არამედ ქურაშვილი-ლოლაძე-ნინუა და ძმანი მათნი. დიახ, ეს ცენტრალური კომიტეტი გახლავთ მმართველი, და მმართველი უკულმართადაც ამ ჩვენი რესპუბლიკის რკინის გზათა; გადამწყვეტი ყოველ მოსამსახურეთა ბედისა და არა გზათა სამინისტრო. ამასა ჰქვიან ორ-მთავრობიანობა, რაიც ყველა დაიწუნეთ ამ რევოლუციაში, დამღუპველი ყოველი სახელმწიფოსი. ეს ერთი. მეორე კიდევ ის, რომ ცენტრალური კომიტეტი არჩეულია (?) და შემადგენლობით ყოფილ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკისა და ის 26 მაისს სეიმთან ერთად უნდა ჩაბარებულიყო არქივს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ეს კომიტეტი დღესაც არსებობს და ჩვენდა სახიფათოდ კიდევაც განაგებს საქართველოს რკინის გზას.

ამ ბოლო დროს მან თავს იდვა და „მოიყვანა სისრულეში“ ისეთი საპასუხისმგებლო საქმე, როგორიც არის მოსამსახურეთა შტატის შემცირება. და ეს უკანასკნელი მოახდინა იმ რიგად, როგორადაც შეეფერებოდა მის ავკარგიანობას.

განვიხილოთ ეხლა, როგორ მოხდა შტატის შემცირება.

ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო ჩამოგვეჭრა რკინის გზის ლიანდაგთა უმეტესი ნაწილი, სადაც უმთავრესად ქართველები მსახურობდნენ და ზედმეტ მოსამსახურეს ფინანსიერად სუსტი საქართველო ვერ შეინახავდა, საჭირო გახდა მოსამსახურეთა შტატის შემცირება (რომლის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს). ამნაირად უნდა შემცირებულიყო 30,000 მოსამსახურეთა რიცხვი ათი-ათასამდის. ეს 20 ათასი შტატს გარეშე დატოვებული მოსამსახურე ვინ უნდა ყოფილიყო? ცხადია ისინი, ვინც ვერ ემსახურება რკინის გზას ისე, როგორც ეს დამოუკიდებელ ნორჩ სახელმწიფოს რესპუბლიკისათვის. მოხდა კი წინააღმდეგი. სამსახურში დარჩნენ ბევრი არა სასურველთაგანი, ზოგიერთი მავნე პირებიც, და გარიყული დარჩა ბევრი სინდისიერი და საქმის მცოდნე მოსამსახურე. და ვინ ჩაიდინა ეს? არა გზათა სამინისტრომ, არამედ ცენტრალურმა და ადგილობრივ რკინის გზის კომიტეტებმა და კომისიებმა. და უკანასკნელნი ზომავდნენ პარტიული საზომით, ამხანაგობით, პროტექციით და სხვა უკანონო საშვალებით.

ამ ასეთ უსამართლობამ გამოიწვია მღელვარება და საშინელი უკმაყოფილება არამც თუ დათხოვნილ მოსამსახურეებში, არამედ თვით სამსახურში დატოვებულ პატიოსან პირებში და აგრეთვე კერძო ხალხშიც. მღელვარება თან და თან მატულობდა. მოხდა მრავალრიცხოვანი კრებები თბილისსა და ქუთაისში, სადაც სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად გამოიტანეს გადაწყვეტილება ეხლავე გაუქმდეს ყველა კომიტეტები და მის ალაგს დაარსდეს რკინის გზის მოხელეთა პროფესიონალური კავშირი. საჭიროა მთავრობამ დაუყონებლივ ყურადღება მიაქციოს ამ მწვავე საკითხს.

საჭიროა მთავრობამ დაუყონებლივ გასცეს ბრძანება, რათა სისრულეში არ იქმნას მოყვანილი ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილება შესახებ შტატის შემცირებისა და თვით გამოძებნოს წესი დათხოვნისა. ამით მთავრობა დაიცავს სამართლიანობას, საკუთარ პრესტიჟს და ბოლოს მოუღებს უკმაყოფილებასაც.

ილარიონ უდენტი

როგორ მოატყუა პავლე იმპერატორმა მეფე გიორგი

(გაგრძელება)

ამ წერილმა მეფე გიორგი დიდათ გაახარა, თითქოს ცაში ააფრინა იგი და დიდი იმედები მისცა თავის მტერზედ ჯავრის ამოყრის. მეფე გიორგი ნამდვილად ასიამოვნა იმ გარემოებამ, რომ პავლე იმპერატორი მას საკუთარის ხელით სწერდა წერილს.

ამ გარემოებამ გიორგი მეფე მოხიბლა, რომ ამან ბაბახანთან მეგობრობის და კავშირის ყოველივე ფიქრი ჰყარა და გადაწყვიტა, რომ მე რუსეთს უნდა შევუერთდე უსათუოდ.

ამ დროს, მეფე გიორგიმ გარსევან ჭავჭავაძესთან დამატებით გაგზავნა გიორგი ავალიშვილი, ძე იოანე მეთოფისა და დაავალა პავლესა და გარსევანთან, რომ მე ბაბახანთან გავწყვიტე ყოველნაირი კავშირი, ეხლა მინდა რუსებთან შეერთებაო. ამავ გიორგი ავალიშვილს დაავალა, რომ ჩემს მანდაურ ერთგულ გარსევან ჭავჭავაძეს უთხარით, რომ იგი რუსეთში დარჩეს ისევ, მაგის ყოფნა მანდ არის საჭირო ჩვენთვის, საქართველოში ჯერეთ ნუ ჩამოვაო.

გარსევან ჭავჭავაძესაც ეს უნდოდა, ეს სასიხარულო ამბავი, მან პავლესაც მალე აცნობა, ისიც ახარა, რომ „ახლა კი საქართველო მალე იქნება თქვენიო“. ამით მოხდა დიდი სიხარული. მათ ამ სიხარულს საზღვარი აღარ აქვნდა. ამის სამაგიეროდ პავლემ დიდი მოწყალება უბოძა იმ ქართველთ, რომელთა ცდითაც საქართველო ნელნელა რუსების საკუთრებათ ხდებოდა, მოეწყო საქმე, რომ გარს. ჭავჭავაძე ხელდახელ გაჩნდა გიორგი მეფის კარზედ, ამან გიორგის მოუტანა პავლეს სამადლობელი და ბევრი რამ დაპირებანი. მეფე გიორგის ისე გაეხარდა პავლეს მადლობა და დაპირებანი, რომ გარს. ჭავჭავაძეს მალე მოკლეთ და გულდასმით უთხრა შემდეგი.

„მე ყველაფერს შევასრულებ ისე, როგორც პავლეს სურს და თქვენც მირჩევთ, მხოლოთ ამისათვის მე ვითხოვ, რომ მეფე ერეკლემ შეტანა თავისი მფარველობისა ქვეშე რუსიისათა პირობითა მით ვითარცა განწესებათ პირობისა წერილი (ესე იგი ტრაქტატი) იმპერატრიცა ეკატერინესა და მეფე ერეკლესი, რათა პირობა იგი იყოს მტკიცეთ და ეგრეთ სუფევა ბაგრატიონთა საკუთრად ქართლისა შინა მემკვიდრეობით მემკვიდრეობდ“. აი ეს არის გიორგი მეფის პირობა. გიორგი მეფე დაარიგა სოლომონ ლეონიძემ, გიორგი მეფემ ეს დაავალა გარსევან ჭავჭავაძეს და ამიტომ იგი ხელ ახლად გაისტუმრა რუსეთში პავლესთან ამ პირობების გადასაცემათ. გ. რს. ჭავჭავაძეს თან გაატანა გიორგი ავალოვი და ელიზ. ფალავანდოვი და მათთან თარჯიმანიც ფეცის კაცი.

გარსევანი მალე ჩავიდა რუსეთში და ყოველისფერი მოახსენა პავლეს. მათ ითათბირეს და პავლეც თანახმა გახდა გიორგი მეფის პირობაზედ. ამ თანხმობის საფუძველით მეფე გიორ-

ჩვენის მეურნეობის ერთი უმთავრესი საჭიროებათაგანი

(დასასრული)

კარგი და პატიოსანი, მეტყვის მკითხველი, გაუმჯობესებულის საქონლის რა სჯობია, მაგრამ ჩვენს ბედშავს ქვეყანაში ახალი ჯიშის საქონლის გამრავლებას სხვა დამაბრკოლებელ გარეშე მიზეზებს გარდა, ხელს უშლის გადამდები სენნი, რომელნიც კულტურულ საქონელს მეტის-მეტს ზარალს აყენებს და საშინელი სიცხეები, რომელნიც გადამდებ სენებთან ერთად ხელს უშლიან მის გამრავლებას.

მაგრამ ამისათვის საჭიროა საქონლის ისეთ პირობებში ჩაყენება, ვიდრე იგი დაბუნებრივდებოდეს, რომ ერთის და მეორის შეძლება თავიდან აგვიშოროს, პირველის თავიდან აცილება შეიძლება გამოცდილის ვეტერინარის მუდმივი ყურისგდებაში ყოლა საქონლისა და მეორე კიდევ მომთაბარეობა. ერთიც და მეორეც მოგვეპოვება და მოგვეძებნება.

ვის უნდა ჩაბარდეს ხსენებული სადგურები და ვინ იქნება მისი მზრუნველ-პატრონი და გამგე-მომვლელი? მისი პატრონი იქნება ჯერ-ხნად მთავრობა რესპუბლიკისა და შემდეგში ერობა, ხოლო გამგე-მომვლელი ადგილობრივი ვეტერინარი. ჩვენ გვყავს უკვე მთელი შტატი ვეტერინარებისა, რომელთა უმთავრესს საგანს ჩემის აზრით, საქონლის მოვლა-მოშენება შეადგენს. ამ ვეტერინართა შტატს, რომელიც უკვე დიდი ხანია არსებობს ჩვენში და კარგადაც იცნობენ ჩვენს ბედშავ საქონლის მოშენების პირობებს სისრულით შეეძლებათ ჩაბარონ ეს საქმე და სრული იმედიც უნდა გვქონდეთ, რომ ისინი საკმარისს უნარს და ცოდნას გამოიჩენენ ამ საქმეში. ისინი უკვე დიდი ხანია მუშაობენ ჩვენში და არამც თუ ცნობილი აქვთ პირობები ჩვენის მეურნეობისა, არამედ როგორც სპეციალისტებს, სრული ცოდნა უნდა ჰქონდეს მათ. აქამდის მათის მოვალეობას თითქმის მარტო-მარტო გადამდებ სენებთან ბრძოლა შეადგენდა და განსაკუთრებით კი საქონლის ჭირთან. დღეს კი საჭიროა ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით ამ საქმეს მიუჩინოთ დარაჯად და მისი მართვა-გამგეობა ჩავაბაროთ.

ბევრნი მეტყვიან, რომ აგრონომების საქმეა და არა ვეტერინარებისა. ასე იყო დღემდის ზოგიერთ ადგილებში, მაგალითად, თერგისა და ყუბანის ოლქებში. დასამშენებელი სადგურები ჩაბარებული ჰქონდათ ვეტერინარებს, ხოლო რუსეთის ზოგიერთ შიდა გუბერნიებში კი აგრონომებს, ეს უკანასკნელი გარემოება სრულს შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, ვეტერინარებს ამ საქმეში მეტად ბევრი უპირატესობა აქვს. განსაკუთრებით იმიტომ, რომ როგორც ექიმს შეუძლიან თვალყური ადევნოს საქონლის ჯანმრთელობას და როცა კი საჭირო იქნება, საჭიროდ დახმარება აღმოუჩინოს. ამითი ეს რთული საქმე ერთიორად უფრო მარტივდება და ადვილდება. ამგვარ სადგურების მოწყობა, როგორიც ჩვენ საჭიროდ გვაქვს და რომელიც სრულიად საკმარისია პირველ ხანებში, საკმარისია უკვე არსებული შტატი ვეტერინარებისა და საჭირო არის ზოოტექნიკების შტატის შექმნა. გარდა ამისა, მრავალი ისეთი ვეტერინარი არის, რომელიც მთელის თვეობით და წლობით უცხოვრია საქართველოს თითქმის ყოველს კუთხეში, შესწავლილი აქვს ადგილობრივი პირობები და სრული წარმოდგენა აქვს სად რა ჯიშის საქონელი გავრცელდება და სად რა.

სად უნდა დაარსდეს ასეთი სადგურები? ჩემის აზრით პირველს ხანებში ასეთი სადგურები უნდა დაარსდეს ისეთს ადგილებში, სადაც დღევანდელს პირობებში გარემოება შეძლებას მოგვცემს და სადაც უფრო იაფად დაჯდება სადგურების მოწყობა. ასეთი სადგურები, ჩემის აზრით, არის ფშავ-ხევსურეთი, ბორჩალო და ქიზიყი, უმთავრესად კი ეს უკანასკნელი. მოგეხსენებათ, რომ ამ უკანასკნელში თვალუწვდენელი მინდვრებია შირაქისა, სადაც ზამთარ ზაფხულობით შეუძლიან საქონლის მინდვრად საზრდოობა. ა. ქიზიყში ცნობილ წოდებულ გადამახარში, ისეთი პირობებია საქონლის მოვლა-მოშენებისა, რომელნიც ძვირად თუ სადმე მოიძებნება. აქ გარდა იმისა, რომ მრავალი საძოვრებია, მთელი ხომ სამხედრო უწყებისა, ე. წ. ქიზიყის მამულები, რომელნიც შეიძლება გამოიყენოს სადგურმა მოსაწყობად თუ, რასაკვირველია, სამხედრო უწყება მოაცემს მათ. გარდა ამისა, ჯუარეველი რუსობა იყო დასახლებული ამ ადგილებში სახაზინო მიწებზე, რომლისგანაც ეს რუსობა სრულიად აიყარა და რუსეთის გზას გაუდგა. ეს შეიძლება ეს ადგილები გადმოეცეს მთავრობამ თავისი ფართო მიხედულებით, სადაც მოეწყობა ფართოდ საქონლის მოშენება. გარდა ამისა გადმოსახლების ვენტილს არეზეობა კავკასიის მთავრობისა, რომელიც თავისი ალპიურის მცენარეებით საუცხოვო საძოვრები არიან ზაფხულის ცხელ დღეებში და რომელზედაც შეიძლება გაიყვანოთ საქონელი, რაიცა შირაქსა და გადამახარში ამტანელის სიცხეების გამო მისი დგომა ბარში შეუძლებელი იქნება, ვიდრე საქონელი დაბუნებრივდება და მომთაბარეობა საჭირო იქნება. ერთის სიტყვით აქ ზამთრიც და ზაფხულიც საუკეთესო ადგილებში არიან საქონლის მოსაშენებლად, სადაც საქონელი ამინდისა და ჰავის მიხედვით შეიძლიან გადაიყვანონ-გადმოიყვანონ და თავიდან აიცილონ ის მრავალი გადამდები ავადმყოფობანი, რომელნიც საუკეთესო ჯიშის საქონელს სდევს ხოლმე პირველ 3 წლობაში და მეტის-მეტად აფერხებს მის გაშენებას. აი ამრიგად მომთაბარეობით სრულიად ვიხსნით პირველ ხანებში უცხოეთიდგან მოყვანილ საქონელს ვიდრე დაბუნებრივება იწამლოებს და ჩვენს ჰავასა და ადგილ-მდებარეობას შეეჩვევა იგი.

მაგრამ საქმე იმაშია, მეტყვიან, რომ ამისთანა გარდამავალ ხანაში, რომელსაც დღევანდელი ცხოვრება წარმოადგენს, სად ვიშოვნოთ ეს კულტურული საქონელი, რომ საქმეს ამ თავითვე შევუდგეთ. ყოველივე ეს ადვილია და მოსახერხებელი დღევანდელს პირობებშიაც. თბილისში არსებობს გარედ წოდებული заводская конюшня, სადაც საუკეთესო ჯიშის ცხენები არის და საიდგანაც შეიძლება რამდენიმე ცხენის წაყვანა, რადგანაც თბილისში ეს დაწესებულება სრულიად უნაყოფოდ გამოდგა და ვერავის სარგებლობა ვერ მოუტანა, რადგანაც იგი სრულს ბიუროკრატიულს დაწესებულებას წარმოადგენდა. ასეთი დაწესებულება, როგორც დასამშენებელი სადგური, დიდს სოფლებში და პატარა ქალაქებსა და დაბებში უნდა იყვეს და არა თბილისისთანა დიდს ქალაქებში. სხვადასხვა საქონელი კიდევ გაუმჯობესებულის ჯიშისა ბევრი მოიძებნება. მოგეხსენებათ, რომ ბევრმა უცხოელმა ფერმერმა, რომელნიც ჩვენს ქვეყანას იყვნენ შემოხიზნულნი, მიატოვეს აქაურობა. აი ამათგან შეგვიძლიან შევიძინოთ ეს ჩვენთვის საჭირო სხვადასხვა საქონელი და მით ვისარგებლოთ, ვიდრე პირდაპირ უცხოეთიდგან შევიძინოთ საუკეთესო ჯიშისას. ესევე შეგვიძლიან ვიშოვნოთ იორკშირის ჯიშის ღორები, მერინოსის ცხვრები და სხვა და სხვა.

მაშ რაღას ვაყოვნებთ, დროა საქმეს შევუდგეთ, დროა იმიტომ, რომ თუ დროზედ არ გამოვიჩინეთ უნარი და ენერგია საკუთარის სახელმწიფოს აშენება-აყვავებისა, მაშინ ცხოვრება ხელახლა წაგვერეკავს და იმაზედ უარეს პირობებში ჩავვარდებით, რომელშიაც დღემდის ვიყავით.

ზ. ცდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის წინაშე საცნობლად პავლემ და გარსევანმა შეკრეს მეფური საიდუმლო პირობა, აქ მოხდა დიდი ბიუროკრატიზმი და გვიანობა. გარს. ჭავჭავაძემ აუწყა პავლეს შემდეგი:

თქვენ გახლდით თანახმა მისის წინადადებით, გიორგი მეფე სნეული კაცია, იგი მალე მოკვდება და მის შემდეგ საქართველო თქვენი იქნება, მართლაც პავლემ მალე აცნობა გიორგი მეფეს თვისი თანხმობის ცნობანი და ამასთანავე სხვაც ბევრი რუსეთისაკენ მისაზიდებელი გვერდობანი. ამ ფაქტების გასაცნობათ ჩვენ მოვიყვანთ ისევ იმავ დავითის სიტყვებს, რომ მკითხველმა ცილი არ დაგვწამოს. აი მათი სიტყვა და ცნობანი:

„ხოლო ამან წარმოუვლინა დესპანათ კავალერიკი პეტრე ივანიჩი და სამეფო ნიშანი და დროშაჲ, რათა შემდგომად მისა იყოს მემკვიდრედ ძე მეფისა გიორგისა დავით და ერთი პოლკი იეგერის წინამძღვრობითა დენერალ ლაზარევისათა, ესენი მოსრულნი 1799 წ. მიიღო მეფემან გიორგიმ და 5 ნოემბერს მეფე გიორგიმ ეს იდღესასწაულა ანჩისხატის ეკლესიაში.

ამ გვარის ოსტატობით დაარწმუნებს მეფე გიორგი, რომ თქვენ პირობას შეასრულებთ, ნიშნად ამის გიგზავნით დრომოლტა'ს და სამეფო ნიშნებსაც, რომლის ძალით თქვენს შემდეგ სამეფო ტახტზე თქვენი შვილი იქმნება აყვანილი. ამაზედ თქვენ სარწმუნოთ უნდა იყოთ. ასეთი პირობა მისცა პავლე იმპერატორმა გიორგი მეფეს. გიორგის ამის მეტი სხვა არაფერი უნდოდა. მისი ნატვრა ეს იყო.

მაგრამ დაპირება სიმართლით არ იქმნა შესრულებული. როგორც ყველაფრის მოტყუილებით დაიწყეს გარს. ჭავჭავაძემ და პავლე იმპერატორმა, ისეც ყალბათ გათავდა საქართველოს სამეფოს დადუპვის საქმენი. ამ შორაროტ თაღლითობას, ანუ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან ქორწილად დაკავშირებას აი რა დაერთო:

მეფე გიორგის გარსევან ჭავჭავაძე ტყუილის ფიცით არწმუნებდა შემდეგს: — „თქვენ ოღონდ საქართველო პავლეს შეუერთეთ და მით შეასრულებთ წადილს, ჯავრს იყრით თქვენის ძმების, და დიდი ნაცვლის, თქვენ შემდეგ თქვენს მაგიერ გამეფებულ იქმნება დავითი, თქვენი შვილი, მისმეტი სხვა არავინ“. ასე და ამ გვარათ დაარწმუნეს მეფე გიორგი.

ამიტომ გიორგი დიდი მადლობელი იყო პავლესი და რაკი გარ. ჭავჭავაძემ ასეთი სიკეთე უყო, ძმის შემდეგ მალე დადგა ის დღენიც, როცა გიორგი მეფეს სნეულება ძრიელ გაუძნელდა, მეფე შეწუხდა ამ დროს, იგი ჯავრს მიეცა, ვაი თუ შეერთებას რამე დაბრკოლება მიეცეს, არ მოხდეს და მეც მოვკვდეო, დარდობდა გიორგი მეფე.

ამიტომაც დარწმუნებულმა გიორგი მეფემ მალე აფრინა სანდო კაცები პავლე იმპერატორის წინაშე და შეუთვალა თვისი დიდი მადლობა. ეს კაცნი დროით ჩავიდნენ პეტერბურგში. გარსევან ჭავჭავაძემ პავლეს აცნობა გიორგი მეფის სიხარული და კმაყოფილება. ამიტომ პავლემაც იცოცხლა გიორგი მეფის მილოცვა მის, რომ ძლივს გადარჩა მეგობრობა და სიყვარულით.

ამიტომაც პავლე იმპერატორმა მალე გამოუგზავნა იგივე პირნი გიორგი მეფის წინაშე მადლობის საბუთლათ და თანხმობის საუწყებლად. გარსევან ჭავჭავაძე კი დარჩა რუსეთში.

(დასასრული იქნება)

ზ. ჭიჭინაძე.

კორესპონდენცია

სოფ. ძველი გავაზი.

აუარებელი პურის მოსავალი ჯერაც ვერ მოასწრო ჩვენმა ხალხმა მოზიდვა კალოებზედ და ძნა ჯერ კიდევ მინდორშია. გამოურკვეველი მიზეზისა გამო ვიღაც ბოროტი ხელი უკიდებს ცეცხლს ნამჯას (ვითომ და მამულის გასასუქებლად) და ამ უმაგალითო გვალვის დროს ცეცხლი დიდას სიჩქარით ვრცელდება, და გადადის იმ მამულებშიაც, საიდანაც ჯერ მოუცილებლობის გამო ძნა ისევ გამოსატანია. ამნაირად იწვება აუარებელი მოსავალი, პატრონი კი არსად სჩანს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი სოფლები დღეის ანაბარა არიან დარჩენილნი ყველა თავისუფალია რაც უნდა ის ბოროტება ჩაიდინოს და წინადვე დარწმუნებულია, რომ იგი ამისთვის არ დაისჯება. აი ერთი მაგალითი ამისი დასამტკიცებელი.

გაჩნდა პური თუ არა და ეგრე ც[illegible] განკარგულება პურის თავისუფალი ვაჭრობისა, დიდძალი ჩარჩი მოაწყდა სოფელს. ჩარჩები მთელი თავისი ენერგიით სცდილობენ ბონები პურად აქციონ და რაც შეიძლება შეასყიდონ პურის რაოდენობა. ვინ არიან ეს ჩარჩები და რა მიზნით აკეთებენ ამას, მე მგონია, ყველას კარგად მოეხსენება. სოფლად გახშირდა ყალბი ფულის რაოდენობა. კადნიერება ჩარჩებისა იქამდის მიდის, რომ როდესაც დახვდება ამნაირ ფულს, ძალზე ბრაზობს და ამტკიცებს, რომ ეს კარგი ფულია. ეს ხდება ცხადლივ და ყველა ადგილობრივ ელემენტები თავისუფლად აწარმოებენ თავის ვერაგულ საქმეს.

საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ჩვენმა ადმინისტრაციამ და შესაფერი ღონისძიებანი გამონახოს ამგვარ არასასურველ პირთა აღსაკვეთავად.

ვანო ყიფიანი.

რედაქტორი: გერონტი ქიქოძე.

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ საობზობი მასალისგან გამოწვეულ პირობების გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირად:

				საათ.	წ.
თბილისიდან გავა:					
ფოთისკენ	№ 23	დილის	7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9/10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დღის	3	35
სანაინისაკენ	№ 4/3	დღის	1	—
თბილისში მოვა:					
ფოთიდან	№ 24	შუადღ.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11/12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დღის	8	30
სანაინიდან	№ 4c/3	დილის	11	—

თბილისის დროით.

ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩაზე წითელ ხიდთან გაიხსნა

ქირ. და ქალთა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებ.

მწოლიარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს.

15—1739—4

კულტურის და შრომის

კავშირი

ამა წლის პირველ ენკენისთვიდან ხსნის ქართველ მოხელეთათვის ქართულ საკანცელარიო ცოდნის

პრაქტიკულ სასწავლებელს

რომლის მიზანია პრაქტიკულად მოამზადოს ქართველი მოხელენი საერთო საკანცელარიო წარმოებისათვის.

სასწავლებელში პრაქტიკულად შეასწავლიან საერთო საკანცელარიო საქმის წარმოების ტეხნიკას, ქართულ საკანცელარიო ენას, მდივნობას, საქმის წარმოებას და სხვ.

მოწყობილი იქნება სანიმუშო კანცელარია ყველა ტიპისა, აგრეთვე სამაგალითო კრებები მდივნობისა და ოქმების შედგენის პრაქტიკისათვის.

სრული კურსის ფასი ათი თუმანია.

სასწავლებელი ორ თვიანი იქნება

სასწავლებელში ჩაწერა ამ თვითვე შეიძლება გაზ. „საქართველო“-ს რედაქციაში. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება აქვე.

სასწავლებლის სასპეციალისტო ხელმძღვანელი: ნაფიცი ვექილი, იუსტიციის სამინისტროს იურისკონსულტი გ. თ. ჟორდანია.

გამგე ნიფ. ვექილის თანაშემწე შ. გ. ტატიშვილი.

ლატარია

აგარაკ კვიშხეთში საუკეთესო ადგილას ჩამონაჭერი 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, აღნიშნული ცალკე პლანზე და დეკრეტის მხრივ უფლად უდავო. მომგებს შეუძლიან რა დროსაც სურს დაიმტკიცოს.

ლატარიის ბილეთები ათას ორმოცდა ათი (1050) ცალია. ბილეთი ღირს 20 მანეთი. ბილეთების წიგნაკები კერძო პირებს აქვს დარიგებული გასასყიდათ. ყველა გასაყიდულის წიგნაკის ფული უნდა ჩაბარონ ლატარიის ფულის ხაზინადარს გიორგი ლაზარაშვილის ძე მაჭავარიანს (ნოტარიუსი, ერევნის მოედანი სასტუმრო „კავკაზის“ ეზოში). როდესაც სულ გაიყიდება ბილეთები, გამოცხადდება დღე ლატარიისა, რომელსაც დაესწრობიან ბილეთების მყიდველნი. იმ დღეს ლატარიას მოაწყობენ, ამისთვის საგანგებოთ მოწვეულნი პირნი: ზ. ბ. ფხვერთ ყურაშვილი, პართენ გოთუა და კოტე მესხიშვილი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

ქ. თბილისის კომიტეტი.

ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

მოკლე ხანში საზღვარგარეთ მიემგზავრებიან მრეწველობის და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს რომ ვისაც სურს რისამე დაბარება სხვა და სხვა ქარხნების მოსაწყობად, საჭირო ცნობების შეკრება ან სხვა და სხვა საქონლის ყიდვის შესახებ, ვსთხოვთ მიმართონ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით) და გაეცნობიან თავმჯდომარე-მოადგილეს. მისამართი: ქ. თბილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელეფონი 9—18.

მეორე ქართული კლუბი

„ახალი საქართველო“

(მიხეილის პროსპექტი № 129).

შაბათს 17 აგვისტოს

სინემატოგრაფი

საინტერესო პროგრამით: საზოგადოების უმეცრების წინააღმდეგ ცხადად მიერ გადაღებულ სურათები; სტამბოლის ხაზ. ვიცე კონფერენცია. აგრეთვე მათუშისა და ტრამპიზონის საზოგადოება დღეგრძელობა და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს გამგებლობის ქვეშ მყოფი კომერციულ ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილოიანისა

ქალთა და ვაჟთათვის

(თბილისი, მიხეილის პრ. № 24, ტელეფონი № 976)

თხოვნების მიღება 10—12 და 5—7 საათამდის. სწავლის დასაწყისი 15 ენკენისთვეს. პროგრამების შეძენა შეიძლება კურსების კანცელარიაში, 30 კაპ.

1—10

გერონტი ქიქოძის

წიგნი

ეროვნული ენერგია

წერილების კრებული

(პოლიტიკა; ეკონომიური ცხოვრება; ხელოვნება)

გამოცემა ეროვნ.-დემ. ახალგაზრდობის ორგანიზაციისა.

გამოვა ენკენისთვის პირველ რიცხვებში.

ხ—ნ

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის კომიტეტის ბინა

კანცელარია იმყოფება „საქართველოს“ რედაქციაში.

კანცელარია ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, 11—2 საათამდის და 7—8 ს. საღ. (ახალ დროთი.

1918 წ. ივლისის 25-ია ქ. თბილისში გამოდის მთავრობის მოამბე ყოველ დღიური გაზეთი ოფიციალური განყოფილებით

„საქართველოს რესპუბლიკა“

გაზეთი ღირს 1 თვით 10 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 40 კ., სავალდებულო განცხადებანი დაწესებული ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

რედაქციის კანტორის მისამართი ქ. თბილისი ბარონის ქუჩა № 6.

რედაქტორი ბ. დ. ხაყვარელიძე.

კვირას, 14 ივლისს 1918 წელს

გაიხსნა პირველი ხარისხის სასადილო

„საქართველო“ ყოფილი „ამირანი“

პუშკინის ქუჩა, ძველი სემინარიის შენობაში

შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეტებით

დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

სადილი შუადღის 12 ს.-დან საღამოს 5 საათამდე.

ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე.

სამზარეულო აზიური და ევროპიული, სასმელები ძველი საუკეთესო მახალიდან საუკეთესო მზარ. ხელმძღვანელობით

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

თბილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს რომ საჯარო ვაჭრობით გაყიდვა უძრავი ქონებისა სესხის შეუსრულებლობის გამო დანიშნულია 1918 წ. აგვისტოს. დაწვრილებითი ცნობები მოთავსებულია გაზ. „კავკაზის“ 6 ივლისის № 138-ში

გაიხსნა

თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფონი 5—97.

ექიმი

გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან. 1 საათამდის და საღამოს 6 დან 8-მდე. გულის ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7 სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველნაირ ავადმყოფთათვის

ექიმ ვ. ზ. მგანარიშვილის და ლ. ბ. ნაზარბეგიანცის

საავადმყოფოში იღებენ კბილის ხელოვნური კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კავკასიონ“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კარიბჭიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 საათ.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება — საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბებს მიიღებენ უფასოთ, 10—12-მდე ყოველდღე.

[illegible] ექიმი

ალექსანდრე დავითის ძის

ქეკელიასი

იღებს შინაგანის, ვენერიულის და საშარდის ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „[illegible]“ ტელეფონი 14—28.

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა

ნ. ლ. ცურაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, სამგზით და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7, სიმხთავრის ეკლესიის გვერდზე.

2 თვ.—1658.

[illegible] მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

ბალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ქ. კალუჯენის კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21.

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭისა და სხვა შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-თერაპია და მასაჟი

მისამართი: [illegible] ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.

—1586—49